

საცხოვრებელი კომპლექსი

ბორჯომის რაიონი, ღაბა
ბაკურიანი, დიდველი

ბანაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების წინასაპროექტო კვლევა

საკადასტრო კოდი:

64.30.12.021

მთავარი არქიტექტორი:


დიმიტრი მოსულიშვილი

თანაავტორი:

ირაკლი გურგულა


შემსრულებელი:

ირაკლი გურგულა




ბამოყენებული სახელმძღვანელოები	1
საკადასტრო გეგმა	2
ამონაწერი	3
ზოგადი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა	4
ბანმარტებითი ბარათი	11
საპროექტო ტერიტორია ქვეყნის სტრუქტურაში	16
საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა ბაკურიანში	17
საპროექტო ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების მონაცემები	18
საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური მონაცემები	19
საპროექტო ტერიტორიის ზოგადგეოლოგიური რუკა	20
სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიების რუკა	21
ბრბს არეალის ტოპოგრაფიული რუკა	22
საკვლევო არეალის და საპროექტო ტერიტორიის რუკა	23
საკვლევ არეალში რეგისტრაციების ასახვის რუკა	24
საკვლევ არეალში საკუთრების განსაზღვრის რუკა	25
კანონრამული ხედი საპროექტო წინადადების ჩვენებით	26
საპროექტო მოცულობის მიწისპირა სართულის განშლა	27
კანონრამული ხედი საპროექტო წინადადების ჩვენებით	28

არსებული შენობების სართულიანობის რუკა	29
საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული ცნობადი შენობები	30
ფოტოფიქსაციის გეგმა	31
ზოგადი ფუნქციური ზონირების რუკა	33
საპროექტო ფუნქციური ზონირება	34
კონკრეტული ფუნქციური ზონირები რუკა	35
ბაკურიანის უფლებრივი ზონირების რუკა	36
საინჟინრო უზრუნველყოფის საანბარიშო რუკა	37
I სართულის გეგმა საპროექტო არეალების ჩვენებით	38
სანტრასკორტო სქემა	39
სატრანსპორტო მომსახურების რუკა	40
ტურისტული ინფრასტრუქტურის რუკა	41
ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირება	42
საპროექტო ტერიტორიაზე არსებული წყალსადენის და საყოფაცხოვრებო წყალარინების კირითადი და ლოკალური ქსელი	43
წყლის და კანალიზაციის არსებულ ქსელზე დაერთების გეგმა	44
საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი აირით მომარაგების კირითადი და ლოკალური ქსელი	45
საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ელექტრომომარაგების კირითადი და ლოკალური ქსელი	46
საპროექტო ბანაშენიანების ამონომეტრიული ხედი	47



	დოკუმენტი	ავტორი/გამომცემი	შინაარსი	რემესტრი
1	ორბანული კანონი	საქართველოს პარლამენტი	აღბილობრივი თვითმმართველობის კოდექსი	1958-III, 05.02.2014წ
2	კანონი	საქართველოს პარლამენტი	წყლის შესახებ	9360-IX, 16.10.1997წ
3	კანონი	საქართველოს პარლამენტი	საავტომობილო გზების შესახებ	585, 11.11.1994წ
4	კანონი	საქართველოს პარლამენტი	საბზაო მოძრაობის შესახებ	1830-რს, 24.12.2013წ
5	დადგენილება	საქართველოს პარლამენტი	ბანაშენიანების ძირითადი დებულებები	59, 15.01.2014წ
6	დადგენილება	საქართველოს პარლამენტი	ელექტრონული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები	366, 24.12.2013წ
7	დადგენილება	საქართველოს პარლამენტი	ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის შესაფრთხილების წესების" დამტკიცების თაობაზე	41 28.01.2016წ
8	დადგენილება	საქართველოს პარლამენტი	მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ	57 24.03.2009წ
9	დადგენილება	საქართველოს პარლამენტი	გაკურთხების ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე	117 6.03.2018წ



დამკვეთი: მადონა ხიდეშელი

მისამართი
ქ. ბორჯომი, დაბა ბაქურიანი,
ლიძეული

პროექტის სახელწოდება:
საცხოვრებელი კომპლექსისა და
სავაჭრო ცენტრის ტერიტორიის
ბანაშენიანების რეგულირების გეგმის
გამგარობითი დავალების
წინასაპროექტო კვლევა

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
მთ. არქიტექტორი:	დ. მოსულიშვილი	
თანაავტორი:	ი.ბურჭულაძე	
შეასრულა:	ი.ბურჭულაძე	

შ.პ.ს	მისამართი
ADS	ქ. თბილისი ვ.ფშაველას გამზ N 70 ^ა ტელ: 598 488 798 ADSGEO@YAHOO.COM

თარიღი	2018 წ.	მასშტაბი:
--------	---------	-----------

სტადია	ფურცლები	ფურცელი
გრგ	47	1



საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **64.30.12.021**

განცხადების ნომერი: **882016187883**


მომზადების თარიღი: **31/03/2016**

ნაკვეთის დანიშნულება:


სასოფლო-სამეურნეო(სათიბი)

ფართობი:

3958 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)



ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	ხაზობრივი ნაგებობა	ტყის ფონდი
შენობა/ნაგებობა	მშენებარე ნაგებობა	ვალდებულება



დამკვეთი: **მადონა ხიდეშელი**

მისამართი
ქ. ზორჯომი, დაბა ბაკურიანი,
ღიძველი

პროექტის სახელწოდება:
სასოფლო-სამეურნეო კომპლექსისა და
საწვავი სადგომის ტერიტორიის
განაშენიანების რეგულირების გეგმის
გამართლებითი დოკუმენტის
წინასაპროექტო კვლევა

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
მთ. არქიტექტორი:	დ. მოსულიშვილი	
თანაავტორი:	ი.ბურჭულაძე	
შეასრულა:	ი.ბურჭულაძე	

შ.პ.ს	მისამართი
ADS	ქ. თბილისი 3. ფგაკელას გამზ N 70 ^ა ტელ: 598 488 798 ADSGEO@YAHOO.COM

თარიღი	2018 წ.	მასშტაბი:
სტადია	ფურცლები	ფურცელი
ბრბ	47	2

საკადასტრო გეგმა



მშპს (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 64.30.12.021**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882016187883 - 28/03/2016 14:30:29

მომზადების თარიღი
31/03/2016 16:34:45

საკუთრების განყოფილება

ზონა ბორჯომი	სექტორი დაბა ბაკურიანი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
64	30	12	021	ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)
მისამართი: რაიონი ბორჯომი , დაბა ბაკურიანი , დიდველი				დამუსტგებული ფართობი: 3958.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 64.10.09.128;

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 642005002195' , თარიღი 08/12/2005

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N1-249 , დამოწმების თარიღი: 07/12/2005 ,ნოტარიუსის შემტყველი ნ. თვალმხიელაშვილი

მესაკუთრები:
მაღონა ხიდეშელი ,P/N: 01006004769

მესაკუთრე: _____ აღწერა:
მაღონა ხიდეშელი

იპოთეკა

საგადასახადო გირაუნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:



რეგისტრირებული არ არის

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. <http://public.reestri.gov.ge>

გვერდი: 1(2)

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სანქცრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდის ექვემდებარება საინფორმაციო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მხედველით."

- დოკუმენტის ნაწილობრივი გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გეოგორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გეგმიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეივსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგეწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



დაამკვეთი: მაღონა ხიდეშელი

მისამართი
ქ. ბორჯომი, დაბა ბაკურიანი, დიდველი

პროექტის სახელწოდება:
საცხოვრებელი კომპლექსისა და სავაჭრო ცენტრის ტერიტორიის განაშენიანების რეკონსტრუქციის გეგმის განხორციელების მიზნით დაკვეთის წინასაპროექტო კვლევა

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
მთ. არქიტექტორი:	დ. მოსულიშვილი	
თანაავტორი:	ი.ბურჭულაძე	
შეასრულა:	ი.ბურჭულაძე	

შ.პ.ს	მისამართი
ADS	ქ. თბილისი 3.ფშავლას გამზ N 70 ^ა ტელ: 598 488 798 ADSGEO@YAHOO.COM

თარიღი	2018 წ.	განმარტობა:
სტადია	ფურცლები	ფურცელი
ბრზ	47	3

ქ. მცხეთა

ტელ: 593 61 73 86

2 51 26 52

დ. აღმაშენებლის ქ. №50

რაიონი ბორჯომი, დაბა ბაკურიანი, დიდგელი, მადონა ხიდუშელის საკუთრებაში არსებული 3958კვ.მ. მიწის ნაკვეთის, განაშენიანების რეგულირების გეგმის შედგენისათვის, ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში.



ი/მ. *ო. ხიზანიშვილი* ო.ხიზანიშვილი

2018წ

სარჩევი

1. შესავალი	-3
2. ზოგადი ნაწილი	-4
3. ჰიდროგრაფია	-11
4. გეომორფოლოგია	-11
5. გეოლოგიური ნაწილი	-11
6. საინჟინრო გეოლოგია	-12
7. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები	-13
8. დასკვნები და რეკომენდაციები	-14

I შესავალი

არქიტექტურული ბიუროს დავალებების საფუძველზე, რაიონი ბორჯომი, დაბა ბაკურიანი, დიდველის ტერიტორიის, განაშენიანების რეგულირების გეგმის შედგენისათვის, ჩატარდა საინჟინრო გეოლოგიური კვლევითი სამუშაოები, შენობა-ნაგებობების დაფუძნების პირობების დადგენის, გეოლოგიური დასაბუთების მიზნით. აღნიშნული უბანი განთავსებულია, დიდველის ტერიტორიაზე.

წინამდებარე საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა შედგენილია: სარეკონსტრუქციო მარშრუტის ჩატარების, მიმდებარე ტერიტორიებზე ხელოვნური და ბუნებრივი გაშიშვლებების გაცნობის, აგრეთვე ყოფილი "საქგეოლოგი"-ის და შ.პ.ს. "თბილქალაქპროექტი"-ს საინჟინრო გეოლოგიური კვლევების, საფონდო და ლიტერატურული მასალების გამოყენების საფუძველზე.

დასკვნაში გათვალისწინებულია საქართველოში ამჟამად მოქმედი შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო წესები და ნორმები): ს.ნ. და წ. 01.02.07-87 (საინჟინრო კვლევები მშენებლობისათვის) 1.15, 1.19, 1.20, 1.21 პუნქტების, ს.ნ. და წ. 2.02.01-83 3.6.02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები), ს.ნ. და წ. 36 01.01-09 (სეისმომდებელი მშენებლობა), ს.ნ. და წ. IV-5-82 სასტანდარტი 25100-82 (გრუნტები, კლასიფიკაცია) და ს.ნ. და წ. 36 01.05.-08 (სამშენებლო კლიმატოლოგია) მოთხოვნები.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევები ჩატარდა 2018 წლის ნოემბერში.

II ზოგადი ნაწილი

II.1 კლიმატური პირობები

სამშენებლო მოედნის კლიმატური პირობების შეფასებისათვის გამოყენებულია მეტეოსადგურებისა და ს.ნ. და წ. "სამშენებლო კლიმატოლოგია"-ს (პ.ნ. 01.02.-08) მონაცემები.

კლიმატური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია ზღვის ნოტიოდან, კონტინენტურ ზომიერად ნოტიომდე, გარდამავალი ჰავით ხასიათდება. უბნის კლიმატური პირობების შეფასება ეყრდნობა "ბაკურიანი-აგრო"-ს მეტეოსადგურის მონაცემებს.

"სამშენებლო კლიმატოლოგია" მოიცავს კლიმატურ პარამეტრებს, რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა სამშენებლო საქმიანობაში.

პუნქტების კოორდინატები, ბარომეტრული წნევა

ცხრილი 1

პუნქტი	კოორდინატები			ბარომეტრული წნევა (ჰპა)
	გეოგრაფიული განედი (გრადუსი და მინუტი)	გეოგრაფიული გრძედი (გრადუსი და მინუტი)	სიმაღლე ზღვის დონიდან (მ)	
ბაკურიანი-აგრო	41°44'	43°31'	1703	815

სამშენებლო-კლიმატური რაიონების მახასიათებლები

ცხრილი 2

კლიმატური რაიონები	კლიმატური ქვერაიონები	იანვრის საშუალო ტემპერატურა, °C	ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წმ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, °C	ივლისის ფარდობითი ტენიანობა, %
III	Iგ	-4-დან -14-მდე	-	+12-დან +21-მდე	75 მეტი

სამშენებლო-კლიმატური დარაიონება

ცხრილი 3

პუნქტი	კლიმატური რაიონები და ქვერაიონები
ბაკურიანი-აგრო	Iგ

ჰორიზონტალურ ზედაპირზე მზის პირდაპირი S და ჯამური რადიაცია Q, კვტ-სთ/მ² თვეში

ცხრილი 4

პუნქტი	იანვარი		აპრილი		ივლისი		ოქტომბერი	
	შ	მ	შ	მ	შ	მ	შ	მ
ბაკურიანი-აგრო	23	64	68	156	103	1999	58	104

მზის პირდაპირი S და ჯამური Q რადიაცია ჰორიზონტალური და
 α კუთხით დახრილი სამხრეთის ორიენტაციის ზედაპირზე, კვტ-სთ/მ² დღეში

ცხრილი 5

პუნქტი	პირდაპირი რადიაცია S			ჯამური რადიაცია Q		
	იანვარი	აპრილი	ივლისი	იანვარი	აპრილი	ივლისი
ბაკურიანი-აგრო	3.წ. α=65 0	3.წ. α=30 0	3.წ. α=10 0	3.წ. α=65 0	3.წ. α=30 0	3.წ. α=10 0
	0.7	1.7	2.3	2.6	3.3	3.4
	1.9	3.0	3.0	2.1	3.2	5.2
	5.7	6.4	6.5	3.4	4.6	

ვერტიკალურ ზედაპირზე მზის პირდაპირი რადიაცია S, კვტ-სთ/მ² თვეში

ცხრილი 6

პუნქტი	იანვარი			აპრილი			ივლისი			ოქტომბერი								
	ჩა, წდ	სა, სდ	ს, ს	ჩა, წდ	სა, სდ	ს, ს	ჩა, წდ	სა, სდ	ს, ს	ჩა, წდ	სა, სდ	ს, ს						
ბაკურიანი-აგრო	0	0.5	14	0.7	13	31	39	38	6	26	44	39	27	0	5	28	58	76

აღნიშვნები: ჩა – ჩრდილოეთი, ჩა – ჩრდილო-აღმოსავლეთი, ჩდ – ჩრდილო-დასავლეთი, ა – აღმოსავლეთი, და – დასავლეთი, სა – სამხრეთ-აღმოსავლეთი, სდ – სამხრეთ-დასავლეთი, ს – სამხრეთი.

ვერტიკალურ ზედაპირზე მზის ჯამური რადიაცია Q, კვტ-სთ/მ² თვეში

ცხრილი 7

პუნქტი	იანვარი			აპრილი			ივლისი			ოქტომბერი								
	ჩა, წდ	სა, სდ	ს, ს	ჩა, წდ	სა, სდ	ს, ს	ჩა, წდ	სა, სდ	ს, ს	ჩა, წდ	სა, სდ	ს, ს						
ბაკურიანი-აგრო	23	23	37	52	66	86	99	97	64	85	103	101	90	31	38	61	97	104

აღნიშვნები: ჩა – ჩრდილოეთი, ჩა – ჩრდილო-აღმოსავლეთი, ჩდ – ჩრდილო-დასავლეთი, ა – აღმოსავლეთი, და – დასავლეთი, სა – სამხრეთ-აღმოსავლეთი, სდ – სამხრეთ-დასავლეთი, ს – სამხრეთი

მზის პირდაპირი და გაბნეული რადიაცია ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ზედაპირზე ივლისში, კვტ-სთ/მ² (პუნქტი-ბაკურიანი-აგრო)

ცხრილი 8

ორიენტაცია მხარეების მიხედვით	განედი, გრადუსი	დღის საათები მზის ჰემისფერითი დროით												დღის ჯამი $\sum S$ $\sum D$	$\frac{\sum S + \sum D}{24}$					
		0-4	4-5	5-6	6-7	7-8	8-9	9-10	10-11	11-12	12-13	13-14	14-15			15-16	16-17	17-18	18-19	19-24
ჰორიზონტალური	42	-	0.002	0.06	0.17	0.34	0.51	0.63	0.74	0.78	-	-	-	-	-	-	-	-	6.46	0.333
ვერტიკალური	42	-	0.001	0.05	0.10	0.11	0.10	0.09	0.08	0.08	-	-	-	-	-	-	-	-	0.50	0.072
ვერტიკალური	42	-	-	0.03	0.07	0.10	0.11	0.11	0.11	0.11	-	-	-	-	-	-	-	-	1.48	0.115
ვერტიკალური	42	-	0.02	0.21	0.40	0.43	0.33	0.19	0.05	-	-	-	-	-	-	-	-	-	1.63	0.122
ვერტიკალური	42	-	0.001	0.07	0.13	0.15	0.14	0.11	0.10	0.09	0.09	0.08	0.08	0.08	0.06	0.03	-	-	1.30	0.172
ვერტიკალური	42	-	0.02	0.27	0.49	0.56	0.55	0.45	0.28	0.10	-	-	-	-	-	-	-	-	2.72	0.172
ვერტიკალური	42	-	0.003	0.07	0.15	0.18	0.17	0.13	0.11	0.10	0.09	0.08	0.08	0.07	0.06	0.03	-	-	1.40	0.151
ვერტიკალური	42	-	-	0.07	0.23	0.37	0.44	0.43	0.36	0.26	0.13	0.01	-	-	-	-	-	-	2.30	0.151
				0.05	0.12	0.15	0.15	0.13	0.11	0.10	0.10	0.09	0.08	0.07	0.06	0.03	-	-	1.32	

მზის ამოსვლის (ა) და ჩასვლის (ჩ) საშუალო მზიური დრო თვის 15 რიცხვისათვის (საათი, წუთი) (პუნქტი-ბაკურიანი-აგრო)

ცხრილი 9

განედი, გრადუსი	ორიენტაცია მხარეების მიხედვით	იანვარი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
42	ა	7.22	6.12	5.22	4.43	4.27	4.40	5.09	5.39	6.11	6.48	7.17
	ჩ	16.56	18.06	18.38	19.09	19.33	19.32	19.01	18.11	17.21	16.40	16.32

მზის სიმაღლე შუადღისას თვის 15 რიცხვისათვის, გრად. (პუნქტი-ბაკურიანი-აგრო)

ცხრილი 10

განუდის გრადუსი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
41	27.8	35.9	46.8	58.7	67.8	72.3	70.6	63.2	52.1	40.6	30.6	25.7

ჰაერის ტემპერატურა

ცხრილი 11

პუნქტი	ბაკურიანი- აგრო	გარე ტემპერატურა, °F	ტვის საშუალო	გარე ტემპერატურა, °F												პერიოდი <8°C საშუა- ლო თვიუ- რი ტემპერა- ტურა	საშუალო ტემპერატურა 13 სთ-ზე									
				ადამიანის საშუალო			ადამიანის საშუალო	ადამიანის საშუალო	ადამიანის საშუალო	ადამიანის საშუალო																
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII											
				-6.2	-5.5	-2.4	3.2	8.5	11.6	14.4	14.6	10.8	6.0	0.9	-3.4	4.4	-36	31	20.6	-15	-21	-0.62	221	-0.7	-1.9	18.9

ჰაერის ტემპერატურის ამბლიტუდა

ცხრილი 12

პუნქტი	ბაკურიანი- აგრო	ტვის საშუალო, °C	ტვის მაქსიმალური, °C																							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII												
			11.7	12.0	12.4	12.2	11.7	11.8	11.0	11.6	13.0	12.5	11.0	10.7	22.0	23.5	23.8	23.7	21.1	21.3	22.0	23.1	25.2	24.1	22.5	22.3

ჰაერის ფარდობითი ტენიანობა

ცხრილი 13

პუნქტი	ბაკურიანი- აგრო	გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %	საშ. ფარდობითი ტენიანობა 13 საათზე		ფარდ. ტენიანობის საშ. დღელამ. ამბლიტუდა									
			ადამიანის საშუალო	ადამიანის საშუალო	ადამიანის საშუალო	ადამიანის საშუალო								
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
			75	76	76	74	76	77	78	76	80	80	78	76

გარე ჰაერის წყლის ორთქლის პარციალური წნევა, კპა

ცხრილი 14

პუნქტი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	წლის საშუალო
ბაკურიანი- აგრო	3.2	3.2	3.9	5.8	8.55	10.8	12.8	12.3	9.8	6.9	5.2	3.7	7.2

ნალექების რაოდენობა

		ცხრილი 15	
პუნქტი	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღელამური მაქსიმუმი, მმ	
ბაკურიანი-აგრო	935	101	

ირიბი წვიმების რაოდენობა, განაწილება ორიენტაციების მიხედვით

პუნქტი	ირიბი წვიმების რაოდენობა, მმ-ში		ირიბი წვიმების განაწილება ორიენტაციების მიხედვით, მმ/%							
	თვის მაქსიმუმი	თბილ პერიოდისათვის	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ
ბაკურიანი-აგრო	26	82	7/6	19/17	47/41	6/5	2/2	4/4	21/18	8/7

თოვლის საფარი

		ცხრილი 17	
პუნქტი	თოვლის საფარის წონა, კგა	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა, მ
ბაკურიანი-აგრო	1.44	143	168

ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობები

		ცხრილი 18	
პუნქტი	წნევა, კგა	წნევა, კგა	წნევა, კგა
ბაკურიანი-აგრო	5	15	0.48

ქარის მახასიათებლები

პუნქტი	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1, 5, 10, 15, 20 წელიწადში ერთხელ მ/წმ		ქარის მიმართულების განმეორებადობა (%) იანვარი, ივლისი							ქარის მიმართულებისა და შტორის განმეორებადობა (%) წელიწადში														
	1	5	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი						
ბაკურიანი-აგრო	19	24	26	27	28	3/7	5/11	9/41	7/3	20/1	19/4	30/24	7/9	4.6/0.6	3.6/0.3	6	9	22	4	9	10	30	10	48

გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ

		ცხრილი 20	
პუნქტი	თიხვანი და თიხნარი	წვრილი და მტვრისებრი ქვიშის ქვიშნარი	მსხვილი და საშ. სიმსვილის ხრემისებური ქვიშის
ბაკურიანი-აგრო	96	115	144

II.2. ჰიდროგრაფია

საკვლევი რაიონის მთავარი ჰიდროგრაფიული ერთეულებია მდინარეები: გუჯარეთის წყალი და ბორჯომულა, თავისი მარჯვენა და მარცხენა შენაკადებით. მდინარეებს ახასიათებს ვიწრო ხეობები, რომლებსაც მეტი ვარდნა და დახრილობა აქვთ.

მდინარეები: გუჯარეთის წყალი და ბორჯომულა შერეული საზრდობის მდინარეებია, იკვებებიან თოვლით, წვიმით და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში. შემოდგომაზე ხანდახან წყალმოვარდნა იცის. ივლის-აგვისტოში წყალმცირობაა, მდგრადი წყალმცირობა კი ზამთარში ახასიათებს.

II.3. გეომორფოლოგია

საკვლევი ტერიტორია გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მდებარეობს თრიალეთის ქედის, დაბალმთიანეთის დასავლეთ ექსპოზიციის ფერდზე, რომელმაც განიცადა, როგორც ძველი, ისე თანამედროვე ეროზიულ-დენუდაციური და აკუმულაციური პროცესების ინტენსიური ზემოქმედება.

უბნის რელიეფი დამრეცია ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართულებით.

ტერიტორია დაფარულია კორდით და ნაწილობრივ ბუჩქოვანი ნარგავებით.

II.4. გეოლოგიური ნაწილი

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით, (ე. გამყრელიძე 2000წ) საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება საქართველოს ბელტის აღმოსავლეთ დაპირვის ზონას, აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის ლავურ განფენებს.

გეოლოგიურად საკვლევი ტერიტორია აგებულია შუამეოთხეული-ზემოპლიოცენური Q_3+N_2 ასაკის ლავური განფენებით, ლითოლოგიურად

წარმოდგენილია ბაზალტებითა და ანდეზიტებით თიხნარების შუაშრეებით, რომელიც დაფარულია ცვალებადი სიმძლავრის მეოთხეული ასაკის დელუვიურ-პროლუვიური თიხოვანი ქანებით.

ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორიაზე გრუნტის წყლების მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება უბნის გეომორფოლოგიური პირობებითა და გეოლოგიური აგებულებით. საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით, განხილული ტერიტორია ნაპრაღური და ნაპრაღურ-კარსტული წყალწნევიანი სისტემის ფარგლებშია მოქცეული და მისი ამგები ქანები სუსტი არის წყალშემცველობით, მათთვის დამახასიათებელია სუსტი და ღრობითი მიწისქვეშა ნაკადების სპორადული გავრცელება, რომელთა მიმართულება ამგები ქანების დაშრეების თანხვედრია.

საფონდო მონაცემების მიხედვით, საკვლევი ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ, გრუნტის წყლები ღრმად არიან განლაგებული და მშენებლობისათვის ისინი რაიმე ხელისშემშლელ პირობებს არ ქმნიან.

II.5. საინჟინრო გეოლოგია

საკვლევი უბანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-განვითარების კვალი არ აღინიშნება, უბანი მდგრადია და მშენებლობისათვის “დამაკმაყოფილებელ” საინჟინრო გეოლოგიურ პირობებში იმყოფება, თავისი გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე, ს.ნ. და წ. 1.02.07-87-ის სავალდებულო დანართი 10-ის თანახმად განეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას. საფონდო მონაცემების მიხედვით, უბნის გეოლოგიურ ჭრილში გამოიყოფა ოთხი ფენა: ფენა №1 ნიადაგის ფენა, ფენა №2 თიხები, ფენა №3 გამოფიტული, ბლოკებად და ცალკეულ ლოდებად დანაწევრებული ბაზალტები. ფენა №4 სუსტად გამოფიტული, მკვრივი ანდეზიტო-ბაზალტური წყება.

გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

ფენა №1 ნიადაგის ფენა მცენარეების ფესვებით, (Q_{IV}) გავრცელებულია თითქმის მთელ საკვლევ ტერიტორიაზე, პირველი ფენის სახით. ფენის სიმძლავრე 0.30-0.40მ-ია. საფონდო მონაცემებით სიმკვრივე $p=1.75\text{გ/სმ}^3$ -ია, დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-5-82-ის კრებული 1 თანახმად მიეკუთვნება: ერთციცხვიანი ექსკავატორით დამუშავებისას – I ჯგუფს, ბულდაზერით და ხელით დამუშავებისას – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1400კგ/მ³ (რიგ №9-ბ).

ფენა №2 დელუვიურ-პროლუვიური თიხა dpQ_{IV} გავრცელებულია მეორე შრის სახით, 0.40მ სიღრმიდან, წარმოდგენილია მოყავისფრო-მოშავო ფერის მტვეროვანი, 5-10% ღორღის ჩანართებით, მკვრივი, სუსტად გაჯირჯვებადი, არაკარბონატული ფენის სახით. ფენის სიმძლავრე 1.65-1.80მ-ია. ბუნებრივი ტენიანობა $W=37.5\%$, ბუნებრივი სიმკვრივე $p=1.74\text{გ/სმ}^3$, ჩონჩხის სიმკვრივე $pd=1.26\text{გ/სმ}^3$, ფორიანობა $n=48\%$, წყალშემცველობის ხარისხი $Sr=0.82$, გრუნტის პირობითი საანგარიშო წინაღობა $R_0=2.35\text{კგ/სმ}^2$, დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-5-82-ის კრებული 1 თანახმად მიეკუთვნება სამივე სახეობით დამუშავებისას II ჯგუფს, სიმკვრივით 1700კგ/მ³ (რიგ №8-ბ).

ფენა №3 გამოფიტული, ბლოკებად და ცალკეულ ლოდებად დანაწევრებული ბაზალტების ელუვიონი, რომლის ნაპრალები, სიცარიელები, მიკრო და მაკრო ფორები შევსებულია მოწითალო ფერის თიხით.

ჩონჩხის სიმკვრივე $p=2.46\text{გ/სმ}^3$, მინერალური ნაწილაკების სიმკვრივე $p_s=2.88\text{გ/სმ}^3$, ფორიანობა $n=15.5\%$, სიმტკიცის ზღვარი ერთდერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_c=70\text{კგ/სმ}^2$, დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-5-82-ის კრებული 1 თანახმად, სამივე სახეობით დამუშავების მიეკუთვნება – V ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 2300 კგ/მ³ (რიგითი №28ბ).

ფენა №4 სუსტად გამოფიტული, ანდეზიტო-ბაზალტური წყება. ბუნებრივი ტენიანობა 2.85%, ბუნებრივი სიმკვრივე $p=2.90\text{გ/სმ}^3$, მინერალური

ნაწილაკების სიმკვრივე $p_s=2.79\text{გ/სმ}^3$, ფორიანობა $n=3.5\%$, სიმტკიცის ზღვარი ერთდერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_c=150\text{კგ/სმ}^2$, დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-5-82-ის კრებული 1 თანახმად მიეკუთვნება, ხელით დამუშავებისას VI ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 2480 კგ/მ³ (რიგითი №28ბ).

დასკვნები და რეკომენდაციები

რაიონი ბორჯომი, დაბა ბაკურიანი, დიდველის ტერიტორია, სადაც უნდა განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, მდგრადია და მშენებლობისათვის დამაკმაყოფილებელ საინჟინრო გეოლოგიურ პირობებში იმყოფება.

1. საკვლევ ტერიტორია აგებულია შუამოთხეული-ზემოპლიოცენური Q_3+N_2 ასაკის ლავური განფენებით ანდეზიტო-ბაზალტების წყებით, რომელიც დაფარულია ცვალებადი სიმძლავრის მეოთხეული ასაკის დელუვიურ-პროლუვიური თიხოვანი გრუნტის საფარით.
2. შენობების დაფუძნება შესაძლებელია ფენა №2-ზე, №3-ზე და №4-ზე, დაფუძნება და საძირკვლის ტიპის შერჩევა უნდა მოხდეს ტექნიკური დავალებიდან და საინჟინრო გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე.
3. საქართველოს ტერიტორია, როგორც კავკასიის სეისმოაქტიური რეგიონის შემადგენელი ნაწილი, მიეკუთვნება ხმელთაშუა ზღვის სეისმურ სარტყელს და მდებარეობს სეისმური აქტივობის ზომიერ ზონაში. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2009წლის 7 ოქტომბრის სამშენებლო ნორმებისა და წესების “სეისმომდებელი მშენებლობა” (პნ 01.01.09) დამტკიცების შესახებ, რაიონი ბორჯომი ზოგადი სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით, განეკუთვნება 9 ბალიან სეისმური ინტენსივობის ზონას. საკვლევ უბანსაც ვაკუთვნებ 9 ბალიან სეისმური ინტენსივობის ზონას.

ინჟ. გეოლოგი:  ო. ხიზანიშვილი

განმატრებიტი ბარათი

წინამდებარე განაშენიანების რეგულირების გეგმის წინასაპროექტო კვლევა დამუშავებულია კერძო დაკვეთით და მიზნად ისახავს ტერიტორიის გეგმარებით და სამართლებრივ მომზადებას სრულყოფილი ინფრასტრუქტურის მქონე საცხოვრებელი კომპლექსის (ინდივიდუალური ბლოკიებული საცხოვრებელი სახლების და კომერციული დანიშნულების ობიექტის) მშენებლობის განხორციელებისთვის. ასევე საპროექტო არეალის ფარგლებში მდებარე სარეკრეაციო სივრცეების კეთილმოწყობა გაჯანსაღებას; დაგეგმილი კომპლექსის სრულყოფილი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას.

განაშენიანების რეგულირების გეგმა - ქალაქმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც დასახლებათა ტერიტორიებისთვის ადგენს მიწათსარგებლობის ზონებს (ქვეზონებს) ან/და აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ქალაქმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას. გრგ გეგმარებითი დავალების წინასაპროექტო კვლევის ალბომი შედგება ტექსტური და გრაფიკული ინფორმაციისგან, რომლის შემადგენლობა და ხარისხობრივი მაჩვენებლები შეესაბამება ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას, საუკეთესო გამოცდილებას და პრაქტიკას.

გრგ წინასაპროექტო კვლევის ტექსტური ნაწილი შედეგება: აღწერისგან, განმატრებიტი ბარათისგან, ეფექტიანობის შეფასებისგან.

გრგ წინასაპროექტო კვლევის გრაფიკული ნაწილი შედეგება: ზონირების ნაწილისგან, თემატური ნაწილებისგან და საინჟინრო ნაწილისგან.

აღსანიშნავია, რომ ტერიტორია რომლის არეალში დღეს მოქმედებდა ერთი რეგისტრაცია (#64.30.12.021) მდებარეობს ბორჯომის რაიონში, დაბა ბაკურიანში, დიდველის ტერიტორიაზე. თავისი მდებარეობით საპროექტო ლოკაცია წარმოადგენს დაბა ბაკურიანის საკურორტო ზონის განუყოფელ ნაწილს, რომელიც მონაწილეობს დასახლების მიმდებარედ არსებულ რეკრეაციული სივრცის განმლაში. აეროგადაღების მონაცემებზე დაყრდნობით საპროექტო არეალის მიმდებარედ ბოლო წლებში იმატა ანალოგიური ფუნქციური სახეობების - საცხოვრებელი და სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობამ.

დაგეგმვის საჭიროება

დამკვეთს წარმოადგენს ფიზიკური პირი, რომელიც ასევე მოქმედებს საკადასტრო ერთეულის მესაკუთრის სახელით. მესაკუთრის მიერ დაგეგმილია საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის განხორციელება. აღნიშნული საჭიროებს ტერიტორიის განვითარების ხედვის შეჯერებას და სამშენებლოდ მომზადებას - დაგეგმვას საპროექტო კომპლექსის სრულყოფილი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების გათვალისწინებით.



საპროექტო არეალი დამუშავებული წინადადების თანახმად, უნდა განვითარდეს ერთ სექტორად, რომელზეც განთავსდება ხუთი ბლოკიებული, ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი პლუს სარდაფის სართულით და ერთი კომერციული დანიშნულების ორსართულიანი მოცულობა სარდაფით

დამკვეთის მოთხოვნები:

- ბაკურიანის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად განსაზღვრული სამშენებლო პარამეტრების გათვალისწინებით, დაგეგმილი ინფრასტრუქტურის განთავსების არეალის და სხვა ტექნიკურ-სამართლებრივი ასპექტების გადაწყვეტა. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული ზონირების რეჟიმის შენარჩუნება და მისი დასაგეგმარებელი ობიექტების ფუნქციური სახეობების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.
- კომფორტული საცხოვრებელი პირობების დაგეგმარება, რომელიც გათვლილი იქნება, როგორც ზამთრის დიდთოვლობის, ისე ზაფხულის კლიმატურ პირობებზე.
- საპროექტო ტერიტორიაზე არსებული რელიეფის მაქსიმალური შენარჩუნება და გაჯანსაღება.
- დასაგეგმარებელ ობიექტებთან დაუბრკოლებელი სატრანსპორტო მისადგომობის ორგანიზება.

დაგეგმვის მიზნები და ამოცანები

1. გამომდინარე დამკვეთის ტექნიკური დავალებიდან და მოთხოვნებიდან, გრგ მიზანია საცხოვრებელი კომპლექსის განვითარებისთვის საპროექტო ტერიტორიის ერთიანი სივრცით-გეგმარებითი გააზრება და საპროექტო მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირება. საპროექტო ლოკაციის მდებარეობიდან გამომდინარე მიწათსარგებლობის გეგმით დადგენილი ქვეზონებია საკურორტო-სარეკრეაციო ზონა 1(სრზ-1) და სარეკრეაციო ზონა 1(რზ-1), რომლებიც ნარჩუნდება მოცემული კონტურების ფარგლებში.
2. დადგენილი ზონების ფარგლებში საცხოვრებელი ფუნქციის განვითარების მიზანშეწონილობის შეფასების ძირითადი განმსაზღვრელია: სატრანსპორტო მისადგომობა. გზებისა და ქუჩების გამტარუნარიანობა. სამშენებლო განვითარების საკმაოდ დიდი რესურსი (მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი და სასტუმროს



დაამკვეთი: მადონა ხიდეშელი

მისამართი
ქ. ბორჯომი, დაბა ბაკურიანი,
დიდველი

პროექტის სახელწოდება:
საცხოვრებელი კომპლექსისა და
საწაჭარო სენტრის ტერიტორიის
განაშენიანების რეგულირების
გეგმარებითი ღონისძიების
წინასაპროექტო კვლევა

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
მთ. არქიტექტორი:	დ. მოსლიშვილი	
თანაავტორი:	ი.ბურჭულაძე	
შეასრულა:	ი.ბურჭულაძე	

შ.პ.ს	მისამართი
ADS	ქ. თბილისი 3.ფშავლას გამზ N 70 ^ა ტელ: 598 488 798 ADSGEO@YAHOO.COM

თარიღი	2018 წ.	მასშტაბი:
--------	---------	-----------

სტადია	ფურცლები	ფურცელი
ბრბ	47	11

ტიპის საცხოვრებელი სახლების სამშენებლო განვითარების პრეცედენტი, უკვე პრაქტიკულად დაინერგა მითითებულ საკურორტო ზოლში).

3. აღსანიშნავია, რომ დღეს საქართველოში საკურორტო ქალაქები და დასახლებები, ძირითადად ფუნქციონირებს სეზონურად, სადაც განაშენიანების ყველაზე მოთხოვნად სახეობად ჩამოყალიბდა - საცხოვრებელი ან სასტუმროს ტიპის აპარტამენტები. შესაბამისად დღის წესრიგში დგება, უშუალოდ აღნიშნული საპროექტო ლოკაციის, მეტად მოთხოვნადი ფუნქციური დანიშნულებით განვითარება. აღნიშნული დასახლების საკარკასო სივრცეზე გამოძვარი ნაკვეთების მსგავსად, სასურველია ამავე ნაკვეთზე საცხოვრებელი-დასასვენებელი სახეობის და მისი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კომერციული ობიექტის განვითარება. წარმოდგენილი პროექტის თანახმად მოთხოვნილი გვაქვს შემდეგი საგამონაკლისო ღონისძიება: რადგან შერჩეული მიწის ნაკვეთი მდებარეობს მკვეთრად რეკრეაციული მახასიათებლების მქონე გარემოში, სადაც მწვანე სივრცის დიდი მასივი ზენორმირებულად აბალანსებს დაბალი ინტენსივობის განვითარების შესაძლებლობას, საპროექტო კონცეფციის გასანვითარებლად ვითხოვთ მიწათსარგებლობის დოკუმენტით განსაზღვრული ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების ათვისებას, რომელსაც საგამონაკლისოდ ემატება კომერციული ობიექტის განთავსების შესაძლებლობა. დადგენილი დოკუმენტის შესაბამისად 3958 კვ. მ-ის საპროექტო არეალზე გვეკუთვნის 395,8 კვ.მ კომერციული დანიშნულების ობიექტის განთავსება.

4. საპროექტო არეალი დამუშავებული წინადადების თანახმად, ვითარდება ერთ სექტორად, რომელზეც განთავსდება ხუთი ბლოკირებული ორსართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი სარდაფის სართულით და ერთი ორსართულიანი ომერციული დანიშნულების ობიექტი სარდაფის სართულით. შენიშვნა: საინჟინრო ნაწილში კომუნალური ქსელების სქემები გრგ დავალების წინასაპროექტო კვლევის ფარგლებში მოწოდებულია სქემატური სახით და პროექტირების დეტალურ ეტაპზე შესაძლოა განიცადოს კონკრეტული ქსელის კონფიგურაციის ცვლილებები. აღნიშნული მომზადდება ცალკეული შენობების არქიტექტურული პროექტის შედგენის ფარგლებში, ლიცენზიანტ კომპანიასთან შეთანხმებული ტექნიკური პირობების და სამშენებლო დოკუმენტის პროექტების საფუძველზე.

დაგეგმვის ამოცანებია:

- შენობის განთავსების რეგულირება: საპროექტო არეალის და შენობის გაბარიტული მახასიათებლების განსაზღვრა, მიწათსარგებლობის გენგეგმით განსაზღვრული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დაცვით, დადგენილი რეგულირების ხაზების ფარგლებში;
- სატრანსპორტო მისადგომობის ორგანიზება;

- სრულყოფილი დასასვენებელი და სამეზობლო თავშეყრისთვის მორგებული რეკრეაციული გარემოს დაგეგმარება;

- ინფრასტრუქტურული ორგანიზებისთვის გათვალისწინებულია კომერციული დანიშნულების ობიექტის დაგეგმარება, რომლითაც სარგებლობას შეძლებენ როგორც უშუალოდ დასაგეგმარებელი კომპლექსის, ისე მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებლებიც.



- ნაკვეთის სამშენებლო განვითარების კონცეფციაში, ასევე გადამწყვეტ როლს თამაშობს მის საზღვრებს გარეთ მოქცეული მკვეთრად რეკრეაციული მახასიათებლების მქონე რელიეფი და საკურორტო ზოლის ლანდშაფტი, რომელიც უხვად დატვირთულია მრავალწლიანი ნარგავებით და თავისი მასით აბალანსებს წარმოდგენილი პროექტით და მიმდებარედ დაგეგმილი განაშენიანების დაბალ სიმჭიდროვეს. დამკვეთის სურვილია საპროექტო მოცულობების ძირითადი ფსაადების სწორედ აღნიშნულ რეკრეაციულ სივრცეზე ორიენტირება, სწორედ ამიტომ საპროექტო გენგეგმის ნაწილში შერჩეულია დაგეგმარების რკალისებური ფორმა.

- საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქუჩის პირას. შესაბამისად, საკმაოდ დიდი მონაკვეთით ემიჯნება საზოგადოებრივ სივრცეს. საზოგადოებრივი სივრცეების განსაზღვრა და შენობის სიმაღლის მაჩვენებლის დაანგარიშება, გათვალისწინებულია ქუჩისპირა საზოგადოებრივი სივრციდან და ნაკვეთის დასავლეთის საზღვართან არსებული უკანა ეზოს მიჯნის ზონიდან. გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი ხასიათდება რთული რელიეფით (ნიშნულებს შორის სხვაობა შეადგენს თითქმის 1 მეტრს). შესაბამისად სიმაღლის დაანგარიშებაც ხდება საპროექტო მოცულობის ნიადაგთან შეხების ნიშნულებიდან (იხ, გვ. 26).

- თავის მხრივ, რელიეფური ზედაპირი დადებითად მუშაობს ახალი საპროექტო მოცულობის საპროექტო ტერიტორიის ლანდშაფტზე განთავსების ნაწილში. დასაბუთების ვიზუალიზაციიდან (ფოტოფიქსაცია და ფოტომონტაჟებიდან) ნათლად ჩანს, რომ საპროექტო კომპლექსი მაქსიმალურად მორგებულია არსებულ რელიეფს. ის ჩასმულია საკმაოდ საინტერესო არქიტექტურული გადაწყვეტილების ხერხით, ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავების მაქსიმალური შენარჩუნების და მათ მიმართ კანონით განსაზღვრული 3 მეტრიანი დისტანციის დაცვის პირობით. დღევანდელი მდგომარეობით იგეგმება ტერიტორიაზე არსებული მხოლოდ სამი ხის გადარგვა.

- საპროექტო არეალის ფარგლებში დაგეგმილია საცხოვრებელი კომპლექსის ფუნქციონირებისთვის საჭირო, მაცხოვრებელთა და კომერციული ობიექტის ვიზიტორთათვის სატრანსპორტო მისადგომობის ჩამოყალიბება.

- საპროექტო ნაკვეთზე მოსაწყობი ღია ავტოსადგომებისთვის გათვალისწინებულია 367 კვ.მ-ს გამოყოფა, რომელზეც განთავსდება 16 მანქანის გასაჩერებელი ადგილი, ავტოსადგომი ასევე მოეწყობა კომერციული დანიშნულების ობიექტის სარდაფის სართულზე სადაც განთავსდება 5 მანქანის გასაჩერებელი ადგილი, რაც სრულად აკმაყოფილებს დასაგეგმარებელი კომპლექსისთვის რეგლამენტიტ განსაზღვრულ მოთხოვნებს.



დაამკვეთი: **მადონა ხიდეშელი**

მისამართი
ქ. ზორჯომი, დაბა ბაქურიანი,
ღიძვალის

პროექტის სახელწოდება:
**საცხოვრებელი კომპლექსისა და
საწაფრო სენტრის ტერიტორიის
განაშენიანების რეგულირების გეგმის
გამართლების დასაბუთების
წინასაპროექტო კვლევა**

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
მთ. არქიტექტორი:	დ. მოსულიშვილი	
თანაავტორი:	ი.ბურჭულაძე	
შეასრულა:	ი.ბურჭულაძე	

შ.პ.ს	მისამართი
ADS	ქ. თბილისი 3. ფგაველას გამზ N 70 ^ა ტელ: 598 488 798 ADSGEO@YAHOO.COM

თარიღი	2018 წ.	მასშტაბი:
--------	---------	-----------

სტადია	ფურცლები	ფურცელი
ბრბ	47	12

დაგეგმვის ძირითადი არსი

საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა:

საპროექტო მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ერთ რეგისტრაციას, რომლის ფართობია 3958 კვ.მ. მდებარეობს ბორჯომის რაიონში, დაბა ბაკურიანში დიდველის ტერიტორიაზე. ის წარმოადგენს რელიეფური ზედაპირის მქონე სივრცეს. დღევანდელი მდგომარეობით, ტერიტორია გაუნაშენიანებელია.

აეროგადაღების მონაცემების შესწავლისას, ვიზუალურად ჩანს, რომ საპროექტო არეალის მიმდებარე სივრცე ჯერ არ არის აქტიურად განაშენიანებული.

საპროექტო ტერიტორია XX საუკუნეში წარმოადგენდა, საკურორტო დასასვენებელი დასახლების რეკრეაციულ ნაწილს, სადაც ჩვენს საკვლევ არეალში ბოლო 10-15 წლის განმავლობაში მკვეთრად იმატა საცხოვრებელი სახლების, სასტუმროების და სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლების მშენებლობამ. ამ ტერიტორიის დასავლეთით არსებული დაბა ბაკურიანის ძირითადი დასახლება განაშენიანებულია სოფლის ტიპის დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლებით.

არსებული კვლევების საფუძველზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის განსახლების სისტემას გასახად განაპირობებს ლანდშაფტის ისეთი სისტემამარფოლოგიური ელემენტები, როგორცაა ტყით დაფარული მთის მასივები ღრმა და ვიწრო ხეობებით მდინარის კალაპოტების გაყოლებაზე. სწორედ ამ გეოგრაფიულ ელემენტებში თავს იყრის დასახლებები და მათი ფუნქციონირებისთვის გაყვანილი საინჟინრო - საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა. ამიტომ ისტორიულად ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახლება იმთავითვე დაიწყო არსებული ხეობების ფარგლებში. რომელმაც დღეს უკვე მიღწეული კარკასის სტატუსი.

როგორც ჩატარებული კვლევებიდან დასტურდება ბორჯომის მუნიციპალიტეტის განსახლებისა და დაგეგმარების მთავარი ღერძი მიუყვება მდ. მტკვრის ხეობას.

